„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“

თბილისი, 2020 – 2021

„ახალი შესაძლებლობები რეწვის ინდუსტრიის განვითარებისთვის“ - ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ახალი ინიციატივაა და გულისხმობს პროფესიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ოსტატების, ხელოვანების და დიზაინერების სამეწარმეო უნარების გასაუმჯობესებლად არაფორმალური განათლების ფიზიკური და ელექტონული პლატფორმების ჩამოყალიბებას. პლატფორმა გააერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ პროგრამებსა და ტრენინგებს.

WWW.CRAFTINGEUROPE.COM

პლატფორმა შემუშავდა ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და მოიცავს ისეთ თემებს და საკითხებს, როგორიცაა: მეწარმეობა და ბიზნესის საწყისები; საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საკითხები; ინტელექტუალური საკუთრება და მისი დაცვა; ციფრული ტექნოლოგიები ტრადიციულ რეწვაში; გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობა; კულტურული პროდუქტის ტურიზმის ინდუსტრიისთვის მორგება; ექსპორტის განვითარება; პრაქტიკული უნარ-ჩვევები და სხვა. პლატფორმა აერთიანებს შვიდ საგანმანათლებლო (თეორიულ) პროგრამას და სამ პრაქტიკულ კურსს, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ორწლიან ციკლს (2020-2021 წწ).

პროექტი ხორციელდება USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის და ევროკომისიის შემოქმედებითი ევროპის პროექტის CRAFTING EUROPE-ის ფარგლებში.

პლატფორმის თეორიული კურსები და პროგრამებია:

- პროფესიული გამოცდილების პროგრამა ტრადიციული რეწვის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ხელნაკეთი პროდუქციის სფეროში მომუშავე მეწარმეებისთვის;
- iAtelier: ტექნოლოგიები და ინოვაციური პრაქტიკა;
- საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საკითხები ტრადიციული რეწვის ბიზნესისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრება ტრადიციული რეწვის ბიზნესთან მიმართებაში;
- ტრადიციული რეწვის პროდუქციის ექსპორტის განვითარება;
- გამოფენა-გაყიდვებზე წარმატებული მონაწილეობა;
- კულტურული პროდუქტი და ტურიზმის ინდუსტრია.

პლატფორმის პრაქტიკული კურსებია:

- კერამიკული პროდუქციის წარმოება;
- ლითონის პროდუქციის წარმოება;
- სასაჩუქრე პროდუქციის კოლექციების შექმნა და მარკეტინგი;
- რეწვის პროექტების განვითარება და განხორციელება.

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი პროექტის განხორციელებას შემდეგი ორი ტრენინგ კურსის გამოცხადებით იწყებს:

- პროფესიული გამოცდილების პროგრამა
- iAtelier: ტექნოლოგიები და ინოვაციური პრაქტიკა.

დეტალური ინფორმაცია ტრენინგების შესახებ გამოცხადდება მომდევნო დღეებში.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
ელ. ფოსტა: info @gaccgeorgia.org
საკონტაქტო პირი: თეა გოცირიძე (ტელ.: 593 397 153)

WWW.CRAFTINGEUROPE.COM

აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებას.